



სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1, ტელ.: 0350 72401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა  
ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა (გამოცემის თეორია)  
Textual Scholarship and Editorial Studies

მიმართულება: 10 ჰუმანიტარული მეცნიერებები

სპეციალობა: 1005 ფილოლოგია

პროგრამის ხელმძღვანელები: ქეთევან გიგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი;

მაია (მარიამ) ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი

1. ცვლილებები შტანილია ფაკულტეტის საბჭოს მიერ  
ოქმი №7, 23 მარტი, 2018 წ.

ფაკულტეტის დეკანი

/პროფ. ნ. კოჭლოშვილი/

2. ცვლილებები შტანილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურების მიერ  
ოქმი №11, 23 მარტი, 2018 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი

/ასოც. პროფ. შალვა ჭკადუა/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი №15, 23 მარტი, 2018 წ.  
უნივერსიტეტის რექტორი

/ასოც. პროფ. ი. შიოშვილი/

**ფაკულტეტი:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**დეპარტამენტი:** ქართული ფილოლოგიის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა  
(Textual Scholarship and Editorial Studies)

**პროგრამის ანალოგები:** ზუსტად ამ სახელწოდების სადოქტორო პროგრამა არ მოიპოვება, მაგრამ არსებობს ანალოგები:

სადოქტორო პროგრამა „გამოცემათმცოდნეობაში“ ბოსტონის უნივერსიტეტის გამოცემათმცოდნეობის ინსტიტუტში (PhD in Editorial Studies): <https://www.bu.edu/academics/grs/programs/editorial-studies/phd/>

სადოქტორო პროგრამა „ლიტერატურაში, კრიტიკასა და ტექსტოლოგიაში“ ტენისის უნივერსიტეტში (PhD in Literature, Criticism, and Textual Studies): <https://english.utk.edu/graduatestudies/phd-in-english/phd-literature/>

სადოქტორო პროგრამა „ტექსტოლოგიაში“ ვაშინგტონის უნივერსიტეტში (PhD in Textual Studies): <https://complit.washington.edu/textual-studies-program>

სადოქტორო პროგრამა „ჩინურ ტრადიციულ ფილოლოგიასა და ტექსტოლოგიაში“ ჩინეთის უნივერსიტეტში (PhD in Chinese Traditional Philology and Textual Criticism):

<http://admission.whu.edu.cn/courses/show-1159.html> და სხვ.

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:**

ქეთევან გიგამვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი  
ტელ.: 0350 27 07 50; მობ. ტელ.: 558562 562

**თანახელმძღვანელი:**

მაია (მარიამ) ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მოწვეული პროფესორი  
ტელ.: 032 2765288; მობ. ტელ.: 558 104 283

**აკადემიური განათლების საფეხური:** დოქტორანტურა (III საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** აკადემიური

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის დოქტორი (Doctor of Philology)

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 180 კრედიტი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ადმინისტრირებული მისაღები გამოცდების საფუძველზე სპეციალობასა და უცხო ენაში: ინგლისური, რუსული, გერმანული (რომელ ენებზეც ტექსტოლოგიასა და გამოცემათმცოდნეობაში არსებობს სათანადო ლიტერატურა). დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება უცხო ენის არანაკლებ B<sub>2</sub> დონეზე ცოდნა. დოქტორანტი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან არანაკლებ B<sub>2</sub> დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში. სერთიფიკატის წარმოდგენის პირობები დარეგულირებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების II თავის მე-3 მუხლის ა) ქვეპუნქტით.

ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობაა სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა.

საგამოცდო საკითხები ქვეყნდება თესაუ-ს ვებგვერდზე: [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge).

სპეციალობის საგამოცდო კომისიას ადგენენ პროგრამის ხელმძღვანელები. მის შემადგენლობაში შეიძლება ჩართულნი იყვნენ დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომელთაც პროგრამასთან აქვთ პროფესიული შეხება და აკმაყოფილებენ მინიმალურ სტანდარტს, კერძოდ: ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვთ სულ მცირე 1 პუბლიკაცია (სტატია, საკონფერენციო თეზისი / მოხსენება, მონოგრაფია).

სტუდენტი აფორმებს უნივერსიტეტთან ხელშეკრულებას, გადის აკადემიურ და ადმინისტრაციულ რეგისტრაციას.

### **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

პროგრამის მიზანია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირის მომზადება ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სფეროში, რომელსაც უახლესი კვლევების მიღწევების გათვალისწინებით, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, მაღალკვალიფიციურ დონეზე, საფუძვლიანად ექნება ათვისებული დარგის ტრადიციული თუ თანამედროვე მიდგომები და კვლევის მეთოდები; დამოუკიდებლად შეეძლება სასწავლო პროცესის დაგეგმვა და კვლევის წარმართვა უკეთესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო შედეგების მისაღწევად, ორიგინალური კვლევითი ნაშრომის შექმნა, სამეცნიერო ფორუმებზე მოხსენებების წაკითხვა, საკუთარი შეხედულებების დასაბუთება, კომუნიკაცია დარგის წამყვან სპეციალისტებთან, უმაღლეს სასწავლებელში სალექციო კურსების მაღალ დონეზე წარმართვა, დროისა და ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი ისეთი კვლევითი პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ქართული ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის განვითარებისათვის, არამედ გარკვეულ წვლილს შეიტანს ამ დარგის ზოგადი თეორიებისა და ტექნოლოგიების სრულყოფაში.

**პროგრამის შექმნის წინაპირობები:** წინამდებარე სადოქტორო პროგრამის შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო პროგრამის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მიერ განხორციელებული გრძელვადიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტებით ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სფეროში.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში 2010 წლიდან უწყვეტად ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტი: „XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“. პროექტმა სამჯერ მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია წინამდებარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ქეთევან გიგაშვილი, ხოლო პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი – პროგრამის თანახელმძღვანელი მაია ნინიძე.

2012 წლის აგვისტოში ფილოლოგიის დეპარტამენტში განხორციელება დაიწყო სამეცნიერო-კვლევითმა პროექტმა „ვოდევილი ქართულ მწერლობაში (აკადემიური გამოცემა, I და II ტომები). პროექტმა 2011 წლის რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში ფუნდამენტური კვლევებისათვის 94 ქულა მიიღო და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია წინამდებარე სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი ქეთევან გიგაშვილი, ხოლო პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი – პროგრამის თანახელმძღვანელი მაია ნინიძე.

„ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ გრძელვადიანი პროექტია. მის ფარგლებში, წინასწარი კვლევით, დაგეგმილია 30 ტომის გამოცემა. წინამდებარე სადოქტორო პროგრამის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მოტივი სწორედ ამ პროექტების განხორციელებისათვის ხელშეწყობა და ახალგაზრდა მეცნიერთა მოზიდვა იყო ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სფეროში.

2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ გამოცხადებულ სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების განვითარების კონკურსში ჩვენმა პროექტმა „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ გრანტი მოიპოვა (I ადგილი). პროექტი სამწლიანია და მისი ბიუჯეტი შეადგენს 216.422 ლარს. პროექტის ფარგლებში სამი დოქტორანტი იღებს ყოველთვიურ სტიპენდიას 800 ლარის ოდენობით და ერთი ახალგაზრდა მეცნიერი - ყოველთვიურ სტიპენდიას 1000 ლარის ოდენობით.

პროექტის გეგმა-გრაფიკით, სხვა სამეცნიერო ამოცანებთან ერთად, გათვალისწინებულია ორი სახელმძღვანელოს მომზადება. ერთი ტექსტოლოგიაში და ერთიც - გამოცემათმცოდნეობაში. ტექსტოლოგიის ბოლო სახელმძღვანელო 35 წლის წინ შეიქმნა - 1983 წელს და, ძირითადად, ეყრდნობა რუსულ გამოცდილებას. ამ ხნის მანძილზე უმნიშვნელოვანესი ძვრები მოხდა დარგის განვითარებაში. ამის გათვალისწინებით, პროგრამისა და პროექტის ხელმძღვანელების წინაშე ბუნებრივად დაისვა ახალი სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი, რომელიც მაქსიმალურად გაითვალისწინებდა დასავლურ გამოცდილებას და ასახავდა უახლესი კვლევების მიღწევებს. დღეისათვის ტექსტოლოგიის სახელმძღვანელო უკვე მომზადებულია, გვაქვს მისი ელექტრონული ვერსია, რაც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მისი სამეცნიერო საზოგადოების წინაშე წარდგინება დაგეგმილია 2018 წლის ივნისში. იგი დაიგზავნება ყველა დაწესებულებაში, სადაც შეისწავლება ტექსტოლოგიის კურსი და აიტვირთება როგორც პარლამენტის ბიბლიოთეკის ვებგვერდზე, ასევე ჩვენს ბლოგზე. სწორედ ის არის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო ტექსტოლოგიის მოდულის საგნებისათვის.

რაც შეეხება გამოცემათმცოდნეობას, სახელმძღვანელო ამ მიმართულებით ქართულ სინამდვილეში დღემდე არ არსებობს. არ არსებობდა არც ტერმინი, რომელიც მიმართულების შინაარსს გამოხატავდა.

ტერმინი „გამოცემათმცოდნეობა“ სამეცნიერო მიმოქცევაში ამ პროგრამის შექმნის დღიდან შემოვიტანეთ. იგი გულისხმობს გამოცემის თეორიას და ინგლისურში მისი შესატყვისია 'Editorial Studies'. ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, რომელიც წინამდებარე პროგრამის სტრუქტურირებასა და განვითარებას ემსახურება, დაიგეგმა ასევე სახელმძღვანელოს მომზადება „გამოცემათმცოდნეობაში“. იგი დაიბეჭდება 2019 წლის ბოლოს.

2017 წელს ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის დეპარტამენტების საერთო პროექტმა „ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ რუსთაველის ფონდის გრანტი მოიპოვა. პროექტი ასევე გრძელვადიანია. ამავე წელს გრანტი მოიპოვა პროექტმა „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე (ორენოვანი გამოცემა)“, რომლის ხელმძღვანელიც წინამდებარე პროგრამის თანახელმძღვანელი მაია ნინიძეა და რომელშიცძირითად პერსონალად ჩართულია ჩვენი სადოქტორო პროგრამის 2 დოქტორანტი. ამდენად, წინამდებარე პროგრამა მთლიანად სამეცნიერო პროექტებს ეყრდნობა ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სფეროში.

სწავლის შედეგები:

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტს საფუძვლიანადაქვს ათვისებული ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა.</li> <li>▶ იცნობს თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებს, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო სტანდარტების დონეზე გამოყენების საშუალებას აძლევს.</li> <li>▶ განვითარებული აქვს კრიტიკული აზროვნება, აქვს უნარი, ხელახლა გაიაზროს არსებული ცოდნა ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის ყველა საკითხთან მიმართებით და, მისი ნაწილობრივ გადაფასების გზით, გააცნობიეროს ცოდნის განახლებული ფარგლები.</li> <li>▶ აცნობიერებს ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის ამოცანათა არსს და ეძებს მათი გადაჭრის პროფესიულ გზებს.</li> <li>▶ აცნობიერებს საკუთარ ინტერესებსა და შესაძლებლობებს პროფესიასთან მიმართებით, შეუძლია დამოუკიდებლად აირჩიოს მათი შესატყვისი საკვლევო ტექსტოლოგიური თუ გამოცემათმცოდნეობითი თემატიკა და განახორციელოს კვლევა რეფერირებადი პუბლიკაციის საერთაშორისო დონეზე.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის დარგში მიმდინარე პროცესების ცოდნის საფუძველზე მიმართულების განსაზღვრა, პროექტების შექმნა და ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა.</li> <li>▶ როგორც ინდივიდუალური კვლევის განხორციელება, ისე ჯგუფთან ერთად მუშაობა და მუშაობის პროცესისა და ახალგაზრდა კადრების კვალიფიციური ზედამხედველობა.</li> <li>▶ ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული ახლებური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება კონკრეტული ტექსტოლოგიური და გამოცემათმცოდნეობის საკითხების საკვლევად.</li> <li>▶ ეპოქის გამოწვევების შესაბამისი მეთოდების გამოყენება და მათი მისადაგება საკუთარი კვლევითი ამოცანებისათვის.</li> <li>▶ სწავლა არა უბრალოდ ინფორმაციის დასაგროვებლად, არამედ მისი მუდმივი ეფექტური გამოყენებისათვის.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებების კრიტიკული შეფასება, ობიექტური ანალიზი, საკუთარი შეხედულების მკაფიოდ ჩამოყალიბება, არგუმენტირება და დაცვა.</li> <li>▶ კონკრეტული მაგალითების სისტემური კვლევა, სინთეზირება და ზოგადი დასკვნების შემუშავება.</li> <li>▶ საკუთარი კვლევითი აქტივობების რეფლექსირება და სწორი დასკვნების</li> </ul>

	<p>დამოუკიდებლად გამოტანა მუშაობის ყველა ეტაპზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ საკუთარი თავისადმი და სამეცნიერო ნაშრომისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულება და მუდმივი ზრუნვა სრულყოფისათვის.</li> <li>▶ არაორდინალური პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.</li> <li>▶ ახლებური მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების მისადაგება წამოჭრილი ახალი პრობლემებისადმი.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ ძველი და ახალი ცოდნის რეფლექსირებით საკუთარი მოსაზრებების წარმოჩენა და დაცვა ნებისმიერი აუდიტორიის წინაშე.</li> <li>▶ რეგლამენტირებულ დროში თავისი სათქმელის მოკლედ ჩამოყალიბება ისე, რომ არ დაიკარგოს მთავარი აქცენტები.</li> <li>▶ ჩატარებული კვლევის შედეგების პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე, საკუთარი მოსაზრებების მკვეთრი არგუმენტირება და პოლემიკის დროს სამეცნიერო ეტიკეტის დაცვა, მოხსენებისა და პრეზენტაციის წარმოდგენა ქართულ და უცხო ენაზე.</li> <li>▶ თანამშრომლობა კოლეგებთან აზრთა ურთიერთგაზიარებისა და ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად.</li> <li>▶ დისტანციური კომუნიკაცია უცხოელ კოლეგებთან და მათი გამოცდილების გაზიარება.</li> <li>▶ პროფესიულ სოციალურ ფორუმებში მონაწილეობა.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▶ ტექსტოლოგიისა და გამოცემამთმცოდნეობის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან ახალი ცოდნისა და იდეების გენერირება და მათ განსახორციელებლად პროცესების წარმართვა.</li> <li>▶ სწავლა არა მხოლოდ წაკითხვით, არამედ დაკვირვებით, მოსმენით, გაანალიზებით, ცხოვრებისეული მაგალითით და სხვ.</li> <li>▶ საკითხის კვლევის ისტორიის გაანალიზების საფუძველზე, მისი შემდგომი განვითარების გზების დასახვა.</li> <li>▶ მოხსენებების, პუბლიკაციებისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადება არსებული მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს დარგის შემდგომ განვითარებას.</li> <li>▶ აქვს ახალი ცოდნის შექმნისათვის მუდმივი მზაობა პროფესიული საქმიანობისა და კვლევის პროცესში.</li> </ul>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▶ იცნობს და იკვლევს ტექსტოლოგიასთან და გამოცემამთმცოდნეობასთან დაკავშირებულ ისეთ პროფესიულ ღირებულებებს, როგორებიცაა: ავტორის ბოლო ნების გათვალისწინება, საავტორო უფლებების დაცვა, მეცნიერული ეთიკა და სხვ.</li> <li>▶ ამ ღირებულებათა დასამკვიდრებლად ეცნობა მსოფლიო გამოცდილებას და შეიმუშავებს ინოვაციურ მეთოდებს.</li> <li>▶ თავად იცავს ამ ღირებულებებს.</li> </ul>

სწავლის შედეგების რუკა

№	სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნისპრაქტიკაში ი გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
<b>სასწავლო კომპონენტი</b>							
	<b>ტექსტოლოგიის მოდული:</b>						
1	თანამედროვე ტექსტოლოგია და წყართმცოდნეობა	X	X	X	X	X	X
2	ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევები	X	X	X	X	X	X
	<b>გამოცემათმცოდნეობის მოდული:</b>						
3	აკადემიური გამოცემის თეორია და პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
4	სამეცნიერო აპარატი და საგამომცემლო კონცეფცია	X	X	X	X	X	X
	<b>სხვა საგნები:</b>						
5	კვლევის მეთოდები (ჰუმანიტარულ მეცნიერებებში)	X	X	X	X	X	X
6	სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
7	პროფესორის ასისტირება		X	X	X		
8	სემინარი I	X	X	X	X	X	X
9	სემინარი II	X	X	X	X	X	X
10	ტექსტოლოგია და საინფორმაციო ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
11	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	X	X	X			X
12	ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა-სწავლებაში და ელექტრონული კურსების კონტენტის შექმნაში	X	X	X	X	X	X
13	მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
<b>კვლევითი კომპონენტი</b>							
1	სადისერტაციო ნაშრომი	X		X	X	X	X

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:

სადოქტორო პროგრამა სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობაა, სადაც კვლევის ხვედრითი წილი ორჯერ მეტია სასწავლო კომპონენტის ხვედრით წილზე. სადოქტორო პროგრამა თავისი შინაარსით კომპლექსურია და სწავლებაშიც და კვლევაშიც კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. რამდენადაც წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში ტექსტოლოგიის მოდულში შემავალი საგნების სწავლებისას გამოყენებული იქნება ელექტრონული სწავლების ელემენტები, მასში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომელიც შერწყმულია ტრადიციულ მეთოდებთან. სასწავლო სივრცე თავისი სავალდებულო და არჩევითი კურსებით, სასემინარო მუშაობით, პროფესორის ასისტირებით, და კვლევითი სივრცე საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობით, ადგილობრივი, რესპუბლიკური თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებისთვის მოხსენებების მომზადებით, სემინარების წარდგინებით, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების დაბეჭდვით და ა. შ. საფუძველს ქმნის იმისთვის, რომ მაქსიმალურად იქნეს მიღწეული სწავლისა და კვლევის შედეგები.

ელექტრონული სწავლება ეფუძნება სწავლების პროცესის წარმართვას ინტერნეტისა და მულტიმედია საშუალებებით. იგი ისევე სრულად მოიცავს სწავლების კომპონენტებს, როგორცაა: მიზნები, შინაარსი, საშუალებები, მეთოდები, როგორც სწავლების ტრადიციული ფორმა. ელექტრონული სწავლება სამი სახისაა:

1. **პირისპირი:** სწავლების პროცესი ამ დროს ლექტორისა და დოქტორანტის საქონტაქტო საათების ფარგლებში მიმდინარეობს, ხოლო სასწავლო მასალა ელექტრონული კურსის საშუალებით გადაიცემა;
2. **დისტანციური:** სასწავლო პროცესი წარიმართება პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი მთლიანად დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;
3. **შერეული** (დასწრებული/დისტანციური): სწავლების ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამაში ტექსტოლოგიის მოდულის სალექციო კურსები წარიმართება ელექტრონული სწავლების მესამე (შერეული) გზით, სადაც მოხდება სწავლების ელექტრონული და ტრადიციული მეთოდების შეჯერება.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულ იქნება როგორც ემპირიული, ისე თეორიული მეთოდები.

❖ **დისკუსია:** იგი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი გავრცელებული მეთოდია. დისკუსია გულისხმობს პროფესორის მხრიდან დოქტორანტის გამოწვევას ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობის გაშლის მიზნით, რათა მას განუვითარდეს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, საკუთარი შეხედულებების გამოთქმისა და მათი დასაბუთების ჩვევები. დისკუსია ეხმარება დოქტორანტს, კონფერენციებზე გამოსვლისას თამამად შეძლოს კვლევის შედეგების წარმოჩენა და სპეციალისტთა შეკითხვებზე პასუხების გაცემა, საკუთარი მოსაზრებების დაცვა.

❖ **თანამშრომლობითი სწავლება:** ეს მეთოდი გამოიყენება, როდესაც ჯგუფში ერთზე მეტი დოქტორანტია. თანამშრომლობითი სწავლების დროს სტუდენტების ერთმანეთს ეხმარებიან ახსნილი მასალის უკეთ გაგებასა და აღქმაში.

❖ **შემთხვევის შესწავლა (Case study):** ეს არის პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომელიც გამოყოფს პრობლემას, ახდენს მის ანალიზსა და სრულყოფილ შესწავლას. ამისათვის პროფესორი პრაქტიკიდან არჩევს მაგალითებს, სიტუაციებს, ე. წ. „კეისებს“, რომელთაც უსადაგებს თეორიას და სტუდენტს აჩვენებს პრაქტიკული ცოდნის დახმარებით შემეცნებითი მასალის გააზრებას. ამ მეთოდის გამოყენებით დოქტორანტს უვითარდება ანალიტიკური აზროვნების, კონკრეტულ ამოცანათა დასახვისა



და მათი გადაწყვეტის უნარი. იმ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფარგლებში, რომლებსაც ეყრდნობა სადოქტორო პროგრამა, არაერთი ასეთი შემთხვევის განხილვის შესაძლებლობა არსებობს.

❖ **გონებრივი იერიში (Brainstorming):** გულისხმობს შესასწავლი თემის ირგვლივ არსებულ შეხედულებათა თავმოყრას, ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებათა განხილვას, რათა დოქტორანტი მიეჩვიოს შემეცნებითი ხასიათის შედარებით რთული ამოცანების გადაწყვეტას. მეთოდი ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარის განვითარებას.

❖ **დემონსტრირების მეთოდი:** აღნიშნული მეთოდი განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება თანამედროვე სწავლებაში. მეთოდი გულისხმობს მასალის დოქტორანტისთვის აუდიო და ვიდეო საშუალებებით მიწოდებას, რაც აადვილებს შესასწავლი თემის უკეთ გააზრებასა და აღქმას. პრობლემის არსი ამ მეთოდით წამოჩნდება როგორც თეორიულად, ისე ვიზუალურად.

❖ **ვერბალური (ზეპირსიტყვიერი მეთოდი):** მისი სახეებია: ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. მასში აქტიურად მონაწილეობს როგორც პროფესორი, ისე დოქტორანტი.

❖ **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება:** ამ დროს პროფესორი და დოქტორანტი აქტიურად არიან ჩართულნი სწავლების პროცესში, სადაც ისინი ახდენენ თეორიული მასალის პრაქტიკულ ინტერპრეტირებას.

❖ **წიგნზე მუშაობის მეთოდი** – მეთოდი, ძირითადად, სწავლის პროცესში გამოიყენება. დოქტორანტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატულ ნამუშევრებს, ანსამეცნიერო სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

❖ **ანალიტიკური კითხვის მეთოდი** - ლექტორი ავალებს სტუდენტებს კონკრეტული ტექსტების წაკითხვას სხვადასხვა სახის ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების მიზნით. წინასწარ უხსნის ასეთი კითხვის ტექნოლოგიასა და მიზანს.

❖ **არგუმენტირების მეთოდი** - სალექციო კურსის თითოეულ დებულებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქცენტი კეთდება არგუმენტებზე, რომ სტუდენტებმა გააცნობიერონ მისი მნიშვნელობა და განივითარონ ეს უნარ-ჩვევა.

❖ **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** - ლექტორი განმარტავს საგნის, მისი მიზნების, ამოცანებისა და თემების როლსა და მათთან დაკავშირებულ ტერმინებს. ასევე, გამოუმუშავებს სტუდენტებს შესწავლილ მასალასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის მარტივად და გასაგებად გადმოცემისა და ტერმინთა განმარტების უნარს.

❖ **კონკრეტიზაციის მეთოდი** - თეორიულ მსჯელობასთან ერთად, ლექციებზე წარმოდგენილია კონკრეტული ნიმუშები. მსგავსი მაგალითების გახსენება და მოძიება ევალუბათ სტუდენტებსაც, რის შედეგადაც უვითარდებათ კონკრეტიზაციის უნარი.

❖ **კონსტრუქტივიზმის მეთოდი** - სწავლების ერთ-ერთი პროგრესული და ეფექტური მეთოდია, რომელიც ითვალისწინებს ლექციის აგების სამფაზიან მოდელს (გამოწვევა, გააზრება / ცოდნის კონსტრუირება, რეფლექსია).

❖ თეორიული მეთოდებიდან მნიშვნელოვანია **სინთეზი**: იგი გულისხმობს ცალკეული საკითხების ერთმანეთთან დაკავშირებით ერთი სისტემის აგებასა და მის დახასიათებას. სინთეზი ეხმარება დოქტორანტს, მთლიანობაში გაიაზროს შესასწავლი საკითხი თუ საკვლევი ობიექტი და და შეძლოს მისი ყოველმხრივი განჭვრეტა.

❖ სინთეზთან მჭიდროდაა დაკავშირებული **ანალიზი**: იგი გულისხმობს საკვლევი პრობლემის, როგორც სისტემის, გააზრებას, ამ სისტემის შემადგენელი ნაწილების გამოყოფასა და მათ შორის

ურთიერთკავშირის დადგენას. ამ სისტემის თითოეული ნაწილი შეიძლება გააზრებულ იქნეს აგრეთვე, როგორც სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, ცაკლუელი ნაწილებისაგან შედგება.

❖ **ინდუქციური მეთოდი**– ეს არის აზროვნების მეთოდი, რომელიც კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნის გამოყვანას ემსახურება, ანუ ეს არის შემეცნების გზა კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

❖ **დედუქციური მეთოდი**– ეს არის მსჯელობის ხერხი, რომელიც ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნის გამოტანას ემსახურება. ინდუქციის საპირისპიროდ, ეს არის შემეცნების გზა ზოგადიდან კონკრეტულისკენ.

**საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ აქტივობებს:**

❖ **ლექცია**– ელექტრონული თუ ტრადიციული – სწავლების ძირითადი ფორმაა. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის, ძირითადი დებულებების მიწოდება დოქტორანტისათვის. პროფესორი ვალდებულია, მისი მსჯელობა იყოს თანამიმდევრული, ლოგიკური, ნათელი. მისი ახსნილი მასალა დოქტორანტისთვის გზამკვლევი უნდა იყოს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში. თვალსაჩინოებები მიწოდებული უნდა იყოს ზომიერად და მიზანმიმართულად. ის სტუდენტს მასალის უკეთ შეცნობასა და აღქმაში უნდა დაეხმაროს. მას უნდა გაეღვიძოს სურვილი, მეტი გაიგოს შესასწავლი თემის ირგვლივ. სასურველია, დოქტორანტურაში სწავლების პროცესი წარმართოს მოქმედმა მეცნიერმა, რომელიც თვითონაა აქტიურად ჩართული სამეცნიერო კვლევებში და ქმნის მაღალი დონის სამეცნიერო პროდუქციას. ასეთ შემთხვევაში დოქტორანტი, როგორც განათლებისა და მეცნიერების კონცეფციაშია აღნიშნული, პირველი ხელიდან იღებს რჩევებსა და მითითებებს, რაც მას კვალიფიციურ მკვლევრად ჩამოყალიბების პროცესში ეხმარება.

❖ **პროფესორის ასისტირება** სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება პედაგოგის უნარ-ჩვევების დაუფლება. ეს არის ერთგვარი პრაქტიკა, რომელიც დოქტორანტს მომავალი სამსახურისთვის ამზადებს. იგი ესწრება პროფესორის ლექციებს და შემდეგ თვითონ უძღვება პრაქტიკულ მეცადინეობებს, სადაც მას საშულება ეძლევა, ლექცია-სემინარებზე მიღებული ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს, შეიძინოს ლექციის წარმართვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის, მასალის ახსნისა და თეორიული ცოდნის გადაცემა-დასაბუთების ჩვევები. პროფესორის ასისტირება გულისხმობს შემდეგს: სემინარებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირებას; ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადებას სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით (ე. წ. LMS – Learning Management System – Moodle და სხვ.), კურატორობას და სხვა.

❖ **სემინარი** - სემინარი ითვალისწინებს განსახილველი საკითხის საფუძვლიანად დამუშავებას და მოხსენების მომზადებას. სასემინარო მოხსენებისათვის პროგრამის ფარგლებში არსებული სპეციალობის საგნებიდან შეირჩევა სხვადასხვა აქტუალური საკითხი, რომელთა დამუშავება საჭიროებს ლექციებზე გაშუქებული კონცეფციებისა და დებულებების, მითითებული ლიტერატურისა თუ სხვა საინფორმაციო წყაროების გაცნობა-ანალიზსა და საკითხისადმი საკუთარი პოზიციის გამოხატვას. სემინარული მუშაობისას უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად მართებულად აღიქვამს დოქტორანტი შერჩეულ პრობლემატიკას. სემინარის მუშაობაში მონაწილეობენ შესაბამისი სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები, სადისერტაციო ნაშრომების ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები. სადოქტორო სემინარის მონაწილეები წარმოადგენენ მოხსენებებს მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, ამა თუ იმ სამეცნიერო პრობლემის კვლევის თანამედროვე

მდგომარეობაზე, რომელსაც მოჰყვება დისკუსია. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი არ უნდა იყოს დისერტაციის შემადგენელი ნაწილი. სემინარში წარმოდგენილი თემატიკა სავარაუდოა.

❖ **სადოქტორო ნაშრომი** წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელ, ორიგინალურ კვლევას, სადაც ხდება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების შედეგად მიღებული ცოდნის რეალიზაცია, სამეცნიერო ამოცანების ადეკვატური გადაწყვეტა. ნაშრომი უნდა ასახავდეს დოქტორანტის კვლევის უნარს, კვლევის მეთოდების სწორად შერჩევასა და საკითხების ანალიზისას მათ მიზანმიმართულ გამოყენებას. დისერტაციაზე მუშაობა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც პროფესორის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

❖ **სხვა** – სხვა აქტივობის/აქტივობებისათვის კრედიტების მინიჭება ხორციელდებაშესაბამისი კომპონენტის სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

**დასაქმების სფერო:** დოქტორის აკადემიური ხარისხი ასოცირდება კვლევით და/ან აკადემიურსაქმიანობასთან, შესაბამისად, დოქტორი შეიძლება დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლოდაწესებულებებში მთავარ, წამყვან ან რიგით მეცნიერ-თანამშრომლად, ან პედაგოგად, ასევე მუზეუმებში, არქივებში თუ სხვა სიძველეთსაცავებში. გარდა ამისა, მან შეიძლება იმუშაოს რედაქტორად სხვადასხვა გამომცემლობაში, აგრეთვე – ხელმძღვანელად, ან მთავარსპეციალისტად საჯარო სამსახურში, სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი მარსებობს სათანადო მატერიალური რესურსი, ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა.

ეს ყოველივე დოქტორანტებს საშუალებას აძლევს, მიეწოდოთ პროგრამით გათვალისწინებული ინფორმაცია. სალექციო აუდიტორიებში შექმნილია სწავლისთვის ადეკვატური გარემო.

უნივერსიტეტს გააჩნია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს წიგნთსაცავი, სააბონენტო და სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ტექნიკა, სააქტო და საპრეზენტაციო დარბაზები, ბიბლიოთეკის წიგნა დიფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული), რომელიც სისტემატურად მდიდრდება უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ახალი წიგნებით. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული ბაზები.

კომპიუტერულ ცენტრებში განთავსებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის,

ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა ტექნიკა (პრინტერები, სკანერები, ქსეროქსები და სხვა),

რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის. გარდა ამისა, დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ, კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად ისარგებლონ პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ბიბლიოთეკებით,

საქართველოს სახელმწიფო არქივით, ხელნაწერთა ინსტიტუტით, ლიტერატურის მუზეუმით და სხვ.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენს განკარგულებაშია ბოლო წლების მანძილზე ჩვენ მიერ განხორციელებული და მიმდინარე სამეცნიერო პროექტების ფარგლებში შექმნილი ტექნიკა, უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, რაც პროგრამის განვითარებასა და წარმატებით განხორციელებას ხმარდება.

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**სტუდენტის შეფასების სისტემა რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ დებულებით.

პროგრამით გათვალისწინებულისასწავლო და კვლევითი კომპონენტი, გარდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვისა, ფასდება 100-ქულიანი სისტემით შემდეგი შეფასების სისტემის მიხედვით:

ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- 1) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- 2) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- 3) (C) კარგი - 71-80 ქულა;
- 4) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- 5) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

1) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

2) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის საფუძველზე. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. მათ შორის:

- ✓ შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;
- ✓ დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

სპეციალობის მოდულის საგნებში:

სასწავლო კურსის შეფასებისას შუალედური შეფასებები განისაზღვრება 1 შუალედური გამოცდით (მაქსიმუმ 30 ქულა), ერთი პრეზენტაციით (მაქსიმუმ 30 ქულა).

შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩატარების თარიღებზე სტუდენტები იქნებიან ინფორმირებულნი წინასწარ.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი - შუალედური გამოცდა ტარდება ზეპირი ფორმით ერთხელ. გამოცდა ტარდება შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირას. შუალედურ გამოცდაზე სტუდენტს მიეცემა ბილეთები, რომლიდანაც ირჩევს ერთს. თითოეული ბილეთი შედგება 2 საკითხისაგან. თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის პირობები და საბოლოო გამოცდის მინიმალური ქულები მითითებულია სილაბუსებში.

**სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება:**

სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ახდენს კოლეგიის თითოეული წევრი დამოუკიდებლად შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი
სადისერტაციო თემის აქტუალობა
ნაშრომის მეცნიერული სიახლე

დასმული პრობლემის გადაწყვეტის ადეკვატურობა
ნაშრომის გაფორმება
დოქტორანტის პრეზენტაცია
დოქტორანტის მიერ კითხვებზე პასუხის გაცემა

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგი სისტემის მიხედვით:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დასახელებულიდან რომელიმეს მინიჭება ხდება კომისიის წევრთა შეთანხმების საფუძველზე. ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობაში შეიძლება ჩართულნი იყვნენ დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომელთაც პროგრამასთან აქვთ პროფესიული შეხება და აკმაყოფილებენ საშუალო სტანდარტს, კერძოდ: ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვთ სულ მცირე 3 პუბლიკაცია (სტატია, საკონფერენციო თეზისი / მოხსენება, მონოგრაფია). იმავე მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ შემფასებლები.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია 180 კრედიტი:

- სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი, მათ შორის: სავალდებულო კურსები – 45 კრედიტი, არჩევითი კურსები / თავისუფალი კრედიტები – 15 კრედიტი;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – 120 კრედიტი.

180 კრედიტი მთლიანად გადანაწილებულია 6 სემესტრზე (3 აკადემიური წელი), ერთი სემესტრი ითვალისწინებს 19 სასწავლო კვირას, ერთი კრედიტი უტოლდება სტუდენტის მუშაობის 25 საათს. სპეციალობის საგნები განაწილებულია ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის მოდულებში:

## I. ტექსტოლოგიის მოდული:

ა) თანამედროვე ტექსტოლოგია და წყაროთმცოდნეობა

(ციფრული ტექნოლოგიების გამოჩენამ ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა წყაროთმცოდნეობაში. სტუდენტები შეიძენენ ცოდნას და განივითარებენ უნარებს მათ გამოსაყენებლად);

ბ) ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევები

(ისეთი ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევების პრინციპების გაცნობა, როგორცაა: ატრიბუცია, დათარიღება და სხვ. და სემინარებზე მათი პრაქტიკული გამოყენება);

## II. გამოცემათმცოდნეობის მოდული:

ა) აკადემიური გამოცემის თეორია და პრაქტიკა

(აკადემიური გამოცემის ძირითადი ასპექტები, მისი ადგილი და როლი ჰუმანიტარულ კვლევებში; აკადემიური გამოცემის ისტორიის ძირითადი ეტაპები; კლასიკური ტრადიცია, ბიბლიის გამოცემა, ბეჭდური სიტყვის ისტორია, წიგნის ბედი 21-ე ს-ში; საგამომცემლო ბაზარი, საკანონმდებლო ბაზა: გამოცემასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები, საავტორო უფლებები, პლაგიატი და სხვ.);

ბ) სამეცნიერო აპარატი და საგამომცემლო კონცეფცია

(ისეთი საგამომცემლო გადაწყვეტილებების პრინციპების შესავალი, როგორებიცაა: კომენტარები, ანოტაციები, მეცნიერული რუბრიკები, საძიებლები, კონკრეტული საგამომცემლო მაგალითები და სხვ.);

არჩევითი კურსებია:

1. ტექსტოლოგია და საინფორმაციო ტექნოლოგიები

(საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასარგებლო მონაცემთა ბაზების გაცნობა ინფორმაციის მაქსიმალური მოძიებისათვის. ამავე ტექნოლოგიების გამოყენება ადრესატებისა და ტექსტში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციისათვის და ანოტირებული საძიებლების შესადგენად).

2. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

3. მენეჯმენტი

4. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლების პროცესში და ელექტრონული კურსების კონტენტის შექმნაში

პროფესორის ასისტირება (5 კრედიტი) და ორი სემინარი (თითოეული 5 კრედიტი) გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო კომპონენტში.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი იწყება მეორე სემესტრიდან და მთავრდება მეექვსე სემესტრში. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მეორე სემესტრიდან დაწყება განპირობებულია დოქტორანტის უკეთ გათვითცნობიერებულობით საკვლევ თემატიკაში ამ დროისათვის.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების (დაგეგმვა-განხორციელების) პრაქტიკული ჩვევების გადრმავებას, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირებასა და განვითარებას.

**სადისერტაციო ნაშრომის შესავალი ნაწილის შესრულება:** მისი მიზანია დოქტორანტის მიერ სადისერტაციო კვლევითი პროექტის/გეგმის შემუშავება, წინასწარი მონახაზის შექმნა იმ კვლევისა, რომელიც მან დროის განსაზღვრულ პერიოდში უნდა დაასრულოს სადისერტაციო ნაშრომის სახით და დაიცვას საჯაროდ. სამუშაო ითვალისწინებს:

- ✓ დოქტორანტის მიერ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის სწორად მოძიება-შერჩევა;
- ✓ საკითხის კვლევის ისტორიის გაცნობას.

დოქტორანტმა მოკლედ უნდა მიმოიხილოს, თუ რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით); თავად რა წვლილს შეიტანს დარგის განვითარებაში (შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებები).მასში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის მიზანი და ამოცანები, შესასწავლი/დასამუშავებელი პრობლემა; კვლევის ობიექტი; ავტორმა უნდა იცოდეს, თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა...) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება. მას ასევე დაგეგმილი უნდა ჰქონდეს კვლევის მეთოდოლოგია და ჩამოყალიბებული—საკვლევი პრობლემატიკა.

**სადისერტაციო ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა:**მისი მიზანია დოქტორანტის მიერ კვლევისათვის საჭირო წყაროთმცოდნეობითი ბაზის მოძიება, კვლევისთვის საჭირო ტექსტებისა და დოკუმენტების კორპუსის შედგენა და მათი სისტემატიზაცია.

▪ **მიმდინარეობის მონიტორინგი:** მისი ძირითადი მიზანია, საკვლევ თემატიკაზე დაყრდნობით, დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაღრმავება და გაფართოება არჩეულ ქვედარგში; გაწეული მუშაობის (თეორიული/პრაქტიკული/ექსპერიმენტული კვლევის) პრეზენტაციის, კრეატიული აზროვნების, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავება.

**სამეცნიერო პუბლიკაციები:**კვლევის ფარგლებში დოქტორანტს ევალება არანაკლებ სამი პუბლიკაციის მომზადება. აქედან ერთი აუცილებლად რეფერირებად საერთაშორისო (ინტერნაციონალიზაციის გავლის მიზნით) სამეცნიერო ჟურნალში უნდა გამოქვეყნდეს, ან უნდა არსებობდეს გამოცემის რედაქტორის ოფიციალური დადასტურება სტატიის დასაბეჭდად მიღების თაობაზე. უკვე დაბეჭდილი პუბლიკაციების (ან დასაბეჭდად მიღების) დადასტურების წარმოდგენა არის ერთ-ერთი მთავარი პირობა დოქტორანტისათვის სადოქტორო ნაშრომის საჯაროდ დაცვის უფლების მოსაპოვებლად.სტატიები უნდა ასახავდეს დოქტორანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. დოქტორანტმა ასევე მონაწილეობა უნდა მიიღოს სულ მცირე ერთ სამეცნიერო კონფერენციაში/სიმპოზიუმში(პირადად გააკეთოს მოხსენება). საკონფერენციო მასალები შედის ზემოთ ნახსენებ სამ პუბლიკაციაში.

**სადისერტაციო ნაშრომი:** სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე მომზადებული საკვალიფიკაციო (სადისერტაციო) ნაშრომის საჯაროდ დაცვით.დოქტორანტმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი ორიგინალური/აქტუალური სამეცნიერო კვლევა არჩეულ დარგში. ნაშრომში იგი უნდა ასახავდეს თეორიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში, უნდა ავლენდეს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისშერჩევისა და სწორად გამოყენების უნარსდა მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში დამოუკიდებელი მუშაობისთვისმზადყოფნას.

თემის შერჩევა, ძირითადად, ხდება დოქტორანტურაში სწავლის პირველი სემესტრის ბოლოს.

სადისერტაციო ნაშრომი სრულდება მე-2-6 სემესტრების განმავლობაში. მე-2-5 სემესტრები ეთმობა დისერტაციის ძირითადი ნაწილის შესრულებასა და სტატიების გამოქვეყნებას, მე-6 სემესტრი კი სრულდება საკვალიფიკაციო (სადისერტაციო) ნაშრომის საჯარო დაცვით. დაცვის შედეგად დოქტორანტს ერთჯერადად ენიჭება კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტი.

#### მისაღები გამოცდის პროგრამა სპეციალობაში:

- ტექსტოლოგიის საგანი.
- ტექსტოლოგიური კვლევების მნიშვნელობა ლიტერატურათმცოდნეობისათვის.
- ტექსტოლოგიური მუშაობა XIX საუკუნის საქართველოში.
- ტექსტოლოგიური მუშაობა XX საუკუნის საქართველოში.
- რა ითვლება ტექსტის ავთენტურ წყაროებად.
- მწერლის თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფიის შემცველობა.
- როგორ ხდება ძირითადი წყაროს შერჩევა და ტექსტის დადგენა.
- ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოცემის მნიშვნელობა.
- როგორ ხდება შემოქმედებითი პროცესის კვლევა.
- ფსევდონიმები, მათი სახეები და ანონიმურობის მიზეზები.
- თხზულებათა დათარიღება, დათარიღების სახეები და წყაროები.
- ავტორობის საკითხი და „დუბია“.
- კომენტარის ტიპების დახასიათება.
- თხზულებათა განლაგების ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპის არსი.
- სხვადასხვა ტიპის სამიებლების არსი.
- უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები
- ძველი ქართული ხელნაწერები
- ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხი
- ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები
- დამწერლობის ტიპები
- წერის საშუალებები ძველ საქართველოში
- ბიბლიის ხელნაწერები
- ბიბლიის გამოცემები
- მწიგნობრული კერებისაზღვარგარეთ
- პირველი ქართული ბეჭდური გამოცემები
- პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთები
- გამოცემის ტიპები და სახეები
- კრიტიკული ტიპის გამოცემის თავისებურება და დანიშნულება
- თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა
- თხზულებათა სრული კრებულის მეცნიერული გამოცემა
- ცალკე თხზულების აკადემიური გამოცემა
- თხზულების მონოგრაფიული გამოცემა



- თხზულებათამრავალტომეულისმეცნიერულ-მასობრივი გამოცემა
- მასობრივი გამოცემის ტიპები
- ჟანრული აკადემიური გამოცემა

## ლიტერატურა:

1. ტექსტოლოგიის საფუძვლები (I), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბ., 1983.
2. ტექსტოლოგიის საკითხები (I), შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „მეცნიერება“, თბ., 1970.
3. ივანეჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949:  
<http://www.scribd.com/doc/102122919/ი-ჯავახიშვილი-ქართული-პალეოგრაფია>
4. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
5. ზ. სარჯველაძე, კ. დანელია, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
6. თ. გამყრელიძე, წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990.
7. ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1979.
8. ე. მაჭავარიანი – „ქართული დამწერლობა“, 2008.
9. რ. პატარიძე – „ქართული მწიგნობრობა“, 1989.
10. ინტერნეტბმული – <http://www.amsi.ge>
11. ინტერნეტბმული – [http://www.dzeglbi.ge/statiebi/istoria/qartuli\\_damcerloba.html](http://www.dzeglbi.ge/statiebi/istoria/qartuli_damcerloba.html)
12. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1980.
13. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980.
14. ე. მაჭავარიანი, წიგნის ხელოვნებასაქართველოში, თბ., 2008.
15. მ. სურგულაძე, ქართულის ისტორიის აქტები, XI-XV სს. თბ., 2006.
16. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. IX, თბ., 1996.

**სასწავლო გეგმა:** იხილეთ ცალკე.

**სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი:** იხილეთ ცალკე. ამავე ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობების შესახებ.

**სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები):** იხილეთ ცალკე

**პროგრამის ხელმძღვანელების CV:** იხილეთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: [www.tesau.edu.ge](http://www.tesau.edu.ge), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორების სიაში.

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ:**

პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებელთა ჩამონათვალი:

1. ქეთევან გიგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. მაია ნინიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

3. ნანარჩულიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
4. თენგიზ სიმაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
5. დავით მახაშვილი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
6. ნინო მოდებაძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი
7. მარიამ ზაქარიაშვილი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
8. ია ჯიმშიტაშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

**პროგრამის დამტკიცების აქტი: იხილეთ თავფურცელზე  
სასწავლო გეგმა**

	კრედიტების რაოდენობა	საკონტაქტო						პრაქტიკული გამოცდა	პრეზენტაცია	ფინალური გამოცდა	დამოუკ.	
		I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV- V სემესტრებში	VI სემესტრი	ლექცია					
							პრაქტიკული სემინარი					
სასწავლო მპონენტი	60	30	15	15								
სავალდებულო კურსები	45	20	15	10								
ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევები	5	5				26		13	2	2	2	80
თანამედროვე ტექსტოლოგია და წყაროთმცოდნეობა	5	5				26		13	2	2	2	80
აკადემიური გამოცემის თეორია და პრაქტიკა	5	5				26		13	2	2	2	80

